585
1986

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელნო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 9

1 9 8 6

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 9 (492) აგვისტო 1986 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

201. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლოთობასა, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლის რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ.

202. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების შესასრულებლად პირველი რიგის ღონისძიებათა თაობაზე.

203. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების დებულების დამტკიცების შესახებ.

204. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის მუშაობის რეგლამენტის შესახებ.

საქ. სსრ უ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

201 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლოთობასა, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლის რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლოთობასა, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარედ ამხ. ზურაბ ამბროსის ძე **ჩხეიძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

განთავისუფლდეს ამ კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ოთარ ევტიხის ძე **ჩერქეზია.**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლოთობასა, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ვალერი გივის ძე **ბაქრაძე** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე.

განთავისუფლდეს ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. გივი გრიგოლის ძე **გუმბარიძე.**

დამტკიცდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლოთობასა, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლის რესპუბლიკური კომისიის წევრებად ამხ. ამხ .ნელი ვლადიმერის ასული **გურგენიძე** — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე და ჯემალ ვარდენის ძე **მარგველიძე** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

განთავისუფლდნენ ამ კომისიის წევრის მოვალეობისაგან ამხ. ამხ. ვაჟა გიორგის ძე **ლორთქიფანიძე** და სერგო ტარასის ძე **რიგვავა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 4 აგვისტო.

№ 861— XI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

202 **„სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების შესასრულებლად პირველი რიგის ღონისძიებათა თაობაზე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის დადგენილება მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტია, რომელიც ახალ შესაძლებლობებს უსახავს საბჭოებს საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში თავიანთი საკოორდინაციო და საკონტროლო ფუნქციების უფრო სრულად და ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად, საშუალებას აძლევს უკეთ გადაწყვიტონ სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მშრომელთა მონაწილეობის გაფართოების პრობლემები. მასში მოცემულია პარტიის XXVII ყრილობის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წინაშე დაყენებულ ამოცანათა გადასაწყვეტად პრაქტიკული მოქმედების, ნოვატორული მიდგომის ვრცელი პროგრამა.

დადგენილებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ სკკპ XXVII ყრილობის მიერ მოწონებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დაჩქარების სტრატეგიული კურსი მოითხოვს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შემდგომ გააქტიურებას, საბჭოთა საზოგადოების წინაშე მდგომ ამოცანათა გადასაწყვეტად მშრომელთა ფართო მასების მობილიზაციისათვის მათი საქმიანობის გაძლიერებას, ადამიანთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად ყველა შესაძლებლობათა გამოყენებას, თავიანთ ტერიტორიაზე ცხოვრების ყველა სფეროსათვის პასუხისმგებლობის ამაღლებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის დადგენილება მიღებულ იქნეს განუხრელი ხელმძღვანელობისათვის და საფუძვლად დაედოს ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითოეული დეპუტატის მთელ პრაქტიკულ საქმიანობას სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განსახორციელებლად, 1986 წლის და მეთორმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად ფართო მასების მობილიზაციისათვის.

2. დადგინდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების განხილვისა და შესწავლის შემდეგი წესი:

ადგილობრივი საბჭოების სესიებზე ტერიტორიათა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი გეგმების პროექტთა განხილვისას მსჯელობის საგანი გახდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად საბჭოების ამოცანები და შემუშავდეს ორგანიზაციული ღონისძიებანი მათს განსახორციელებლად; მიღებულ გადაწყვეტილებებში კონკრეტული დავალებანი მიეცეთ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს საზოგადოებრივი წარმოების ტემპის დაჩქარებისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად ადგილობრივი რეზერვების გამოვლენისა და მაქსიმალურად გამოყენებისათვის;

საბჭოებში, სადაც სესიებზე უკვე განხილულ იქნა ხუთწლიანი გეგმები, აღნიშნული დადგენილება განიხილონ აღმასრულებელი კომიტეტების გაფართოებულ სხდომებზე ა/წლის 20 სექტემბრამდე.

ა/წლის აგვისტო-სექტემბერში ყველა დონის საბჭოების დეპუტატთა სკოლებში, შრომითს კოლექტივებსა და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას მოეწყოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების ღრმად შესწავლა და განმარტება. სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა ამ მუშაობის ჩატარებაში ფართოდ მიიზიდონ საბჭოების აღმასკომების პასუხისმგებელი მუშაკები, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი;

სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული საბჭოთა აქტივის სემინარ-ლექტორიუმების პირველი მეცადინეობა მიეძღვნას აღნიშნული დადგენილების შესწავლას.

3. რესპუბლიკის სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო, რესპუბლიკის რაიონუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა დაუყოვნებლივ ვაშალონ მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების უცილობლივ შესრულებისათვის კონკრეტულ ღონისძიებათა შესამუშავებლად უახლოესი დროისა და 1990 წლამდე პერსპექტივისათვის. ეს მუშაობა დაასრულონ ა/წლის 15 ოქტომბრამდე.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა პირველი რიგის ღონისძიებებში გაითვალისწინონ კონკრეტული ქმედითი ზომები, რათა უკვე 1986-1987 წლებში მიღწეულ იქნეს:

დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელმძღვანელობის შემდგომი გაძლიერება;

შექმნილი საწარმოო პოტენციალის ინტენსიური გამოყენება, შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული თითოეული საწარმოს მიერ მოწყობილობათა მუშაობის ცვლიანობის ამაღლება; საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის დისციპლინის განმტკიცება, შიდაცვლების მოცდენების, ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობის ფაქტების არსებითი შემცირება;

მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური და ეკონომიური ხარჯვა, მეორეული რესურსებისა და წარმოების ნარჩენების აღრიცხვისა და გამოყენების გაუმჯობესება;

უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად ყველა გაერთიანების, საწარმოსა და ორგანიზაციის მიერ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაზრდის, ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაფართოების რეზერვების გამოვლენა და გამოყენება;

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების, ბინების და საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტისა და მოთხოვნილების მიხედვით სხვა მომსახურებისათვის მცირე საწარმოთა ქსელის განვითარება;

გამოუყენებელ და გამოთავისუფლებულ ნაგებობათა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების მცირე ობიექტების, სპორტული დარბაზებისათვის გამოყენება;

სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალოწლიური მოცულობის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება; მოსახლეობის სურსათით მომარაგების არსებითი გაუმჯობესება; ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებისა და შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვის საფუძველზე დამოუკიდებელი მეურნეობრიობისა და ინიციატივის განსავითარებლად აგროსამრეწველო კომპლექსთა ძალების კონცენტრაცია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული მიწების ეფექტიანი და რაციონალური გამოყენება და მიწათსარგებლობის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა მკაცრად დაცვა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოუყენებელი მიწების ჩართვა;

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სწორი გამოყენება და შენახვა, ამ საქმეში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოთა ხელმძღვანელების პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განსახორციელებლად კონკრეტულ ღონისძიებათა მომზადებისათვის რეკომენდაცია მიეცეს თითოეული რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკებისა და სათანადო სპეციალისტებისაგან შექმნას სამუშაო ჯგუფი. დაევალოს ამავე ჯგუფს მოამზადოს, მიზანშეწონილობის მიხედვით, წინადადებანი ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, ქ. თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომების გამოცდილების გამოყენებით და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით დარგთაშორისი და სამეურნეობათაშორისი ტერიტორიულ-საწარმოო გაერთიანებათა შექმნის შესახებ.

5. რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა და მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა:

საბჭოების სესიებზე სისტემატურად განიხილონ საგეგმო დავალებების, აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობა, ფართოდ დანერგონ მართვის ორგანოების, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების, დეპუტატთა, დეპუტატთა ფორმირებების და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების ანგარიშების მოსმენის პრაქტიკა; ეფექტიანად გამოიყენონ დეპუტატის მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენება როგორც სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობისადმი კონტროლის ქმედითი ფორმა, სისტემატურად მიაწოდონ დეპუტატებს ინფორმაცია წინა სესიებზე შეკითხვის წესით დაყენებული საკითხების განხილვის შედეგების თაობაზე;

უზრუნველყონ წელიწადში ორჯერ მაინც ამომრჩევლებისა და შრომითი კოლექტივების წინაშე ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატთა ანგარიშით გამოსვლა, გაუწიონ დეპუტატებს კონკრეტული დახმარება საინფორმაციო-საცნობარო მასალების მომზადებაში;

გაზარდონ აღმასკომების საკოორდინაციო როლი საბჭოების მუდმივი კომისიების საქმიანობაში, გაუწიონ კომისიებს საჭირო დახმარება საანალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზო და საკონტროლო ფუნქციების განხორციელებაში, რეკომენდაციათა შესრულებაზედებაში; ყოველნაირად შეუწყონ ხელი კომისიების მიერ მიღებულ რეკომენდაციათა და წინადადებათა ქმედითობას.

აამაღლონ დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების რეალიზაციის მიმდინარეობისადმი მუდმივი კონტროლის განხორციელებაში, განსაკუთრებით გეგმის სოციალურ დავალებათა ნაწილში. შეისწავლონ ყველა მსხვილ საწარმოში, საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში დეპუტატთა ჯგუფების შექმნის შესაძლებლობანი. უზრუნველყონ სამშენებლო ობიექტებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მშენებლობის, მოსავლის აღების, მეცხოველეობისათვის საკვების დამზადების გეგმების შესრულებისადმი კონტროლის განსახორციელებლად დეპუტატთა საგუშაგოების უცილობელი შექმნა;

გააძლიერონ კონტროლი შრომითი კოლექტივების წინაშე და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მათი განყოფილებებისა და სამმართველოების რეგულარული ანგარიშგებისადმი, აგრეთვე მშრომელთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციისადმი; სისტემატურად მიაწოდონ ინფორმაცია მათი განხორციელების მიმდინარეობის თაობაზე;

უზრუნველყონ საცხოვრებელ ადგილას მოსახლეობაში გეგმაზომიერი და სისტემატური აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება, აქტიურად წარმართონ იგი დისციპლინისა და წესრიგის განსამტკიცებლად, ადამიანებში შრომისა და სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი, საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებისადმი შეგნებული დამოკიდებულების აღსაზრდელად, სამართალდარღვევებთან,, ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან საბრძოლველად, ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად. უფრო სრულად გამოიყენონ ამ საქმეში საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვა ორგანოების შესაძლებლობანი;

სამართალდამცველი ორგანოებისა და პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა მონაწილეობით გააძლიერონ მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობას შორის, სამართლებრივი პროპაგანდა. ეს მუშაობა დაუქვემდებარონ მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონებია დაცვის, მათი გახუხრელი შესრულების სულისკვეთებით;

დეპუტატების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების, სამართალდამცველი ორგანოების მიზიდვით გააქტიურონ ორგანიზატორული მუშაობა და გააძლიერონ კონტროლი სახელმწიფო, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისადმი, გაცდენებთან, მოცდენებთან და სამუშაო დროის სხვა არამწარმოებლურ დანაკარგებთან ბრძოლის ორგანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაციისადმი, მატერიალურ ფასეულობათა დაცვასა და გამოყენებაში მკაცრი აღრიცხვის დაწესებისადმი. სოციალისტური საკუთრების ხელყოფის, მექრთამეობისა და უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისადმი, სამართალდარღვევათა ასაცდენად სრულად გამოიყენონ შრომითი კოლექტივების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, ამხანაგური სასამართლოებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანოების უფლებები და შესაძლებლობანი;

უფრო სრულად გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილება მართვის ორგანოების, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობაში სოციალისტური კანონიერების დაცვისადმი კონტროლისათვის; მკაცრად მოსთხოვონ პასუხი შესაბამის ხელმძღვანელებს ამ მიმართულებით მუშაობის მდგომარეობისათვის;

სისტემატურად გააანალიზონ ქვემდგომი საბჭოების საქმიანობა, გაუწიონ მათ პრაქტიკული დახმარება სესიების, აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომების მომზადებასა და ჩატარებაში, ადგილობრივი ცხოვრების აქტუალური საკითხების გადაწყვეტის კონტროლის ორგანიზაციასა და შესრულების მემოწმებაში. უფრო ხშირად დანერგონ პრაქტიკაში აღნიშნული საბჭოების მუშაობის საკითხების განხილვა, განაზოგადონ და აქტიურად გაავრცელონ მათი მუშაობის დადებითი გამოცდილება;

ა/წლის ოქტომბრამდე განიხილონ მეცხრამეტე მოწვევის ყველა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატებისათვის მიცემული ამომრჩეველთა გასაწესების რეალიზაციის ძიძდიხარეობის საკითხი და მიიღონ ზომები მათი 1987 წლის 1 ივნისამდე უცილობლივ შესრულებისათვის.

წინადადებანი უახლოესი წლეთისა და პერსპექტივისათვის სოციალური სფეროს, საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების შესახებ, რომლებიც რესპუბლიკური ორგანოების გადაწყვეტილებას საჭიროებენ, გამოგზავნონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1986 წლის 1 ნოემბრამდე. ამ წინადადებათა შემუშავებისას გაითვალისწინონ არსებული საწარმოო სიმძლავრეების, ადგილობრივი ნედლეულის რესურსების უფრო სრული გამოყენებისათვის გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა რეალური შესაძლებლობანი.

6. რეკომენდაცია მიეცეთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფრო ხშირად შემოიღონ პრაქტიკაში ამა თუ იმ რეგიონის კონკრეტული საკითხების შესწავლასა და განხილვაში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების აქტიურად ჩაბმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილებებმა: განაგრძონ ადგილებზე ერთობლივი გასვლის პრაქტიკა ადგილობრივი საბჭოებისათვის ქმედითი დახმარების აღმოსაჩენად, ამასთან მომავალში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილების შესრულების ორგანიზაციას, ამ საქმეში დადებითი გამოცდილების შესწავლასა და გავრცელებას.

8. საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ პრაქტიკული დახმარება გაუწიოს სახალხო დეპუტატთა რაიონულ და საქალაქო საბჭოებს ამ დადგენილებაში მითითებულ პრობლემებზე წინადადებათა შემუშავებაში;

გულდასმით განიხილოს ამ დადგენილებასთან დაკავშირებით ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებიდან შემოსული მასალები და მათში დაყენებული წინადადებების სარეალიზაციოდ პრეზიდიუმის განსახილველად წარმოადგინოს დადგენილების პროექტი ა/წლის 20 ნოემბრამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 8 აგვისტო.
№ 870 ა—XI.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

203 საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების დებულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 12 აგვისტო.
№ 872-XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986
წლის 12 აგვისტოს გრძანებულებით

საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები ფართოდ მიიზიდავენ მოქალაქეებს თავიანთ მუშაობაში მონაწილეობისათვის, მათს განსახილველად გამოაქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, ავითარებენ მოსახლეობის საზოგადოებრივ თვითმოქმედებას.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა საერთო კრებები, ყრილობები ადგილობრივი და საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში მოსახლეობის უშუალო მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა.

მუხლი 2. საერთო კრებების, ყრილობების მუშაობაში მონაწილეობენ 16 წელს მიღწეული და მოცემულ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები მოქალაქენი.

მუხლი 3. ქალაქის მცხოვრებ მოქალაქეთა საერთო კრებებს იწვევს შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მიკრორაიონების, კვარტალების, ქუჩების, საცხოვრებელი სახლების მიხედვით.

სადაბო, სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა საერთო კრებებს ყრილობებს იწვევს შესაბამისად სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. ამავე წესით იწვევენ მოქალაქეთა საერთო კრებებს, ყრილობებს ცალკეული დასახლებული პუნქტების, კვარტალების, ქუჩების მიხედვით.

საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში მყოფი დასახლებული პუნქტების მცხოვრებ მოქალაქეთა საერთო კრებებს, ყრილობებს იწვევს შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით მოქალაქეთა საერთო კრებები, ყრილობები შეიძლება მოიწვიონ მიკრორაიონთა საბჭოებმა, საზოგადოებრივმა სოფლის, ქუჩის, კვარტალისა და სახლის კომიტეტებმა მათს კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადასაწყვეტად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც მოქალაქეთა საერთო კრების, ყრილობის მოწვევა გაძნელებულია, შეიძლება ჩატარდეს დასახლებული პუნქტების, მიკრორაიონების, კვარტალების, ქუჩების, საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთა წარმომადგენლების კრებები, ყრილობები. წარმომადგენლობის ნორმებს ადგენს შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 4. მოქალაქეთა საერთო კრებებს, ყრილობებს იწვევენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების ინიციატივით.

მუხლი 5. წინადადებები მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების მოწვევისა და მათზე განსახილველი საკითხების შესახებ შეიძლება შეიტანონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუდმივმა კომისიებმა, დეპუტატთა ჯგუფებმა, დეპუტატებმა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, სახალხო კონტროლისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებმა, სამართალდამცველმა ორგანოებმა, საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, აგრეთვე მოქალაქეებმა.

მუხლი 6. მოქალაქეთა საერთო კრებებს, ყრილობებს იწვევენ საჭიროებისდა მიხედვით, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ერთჯერ.

საერთო კრება, ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კრების, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის უფლების მქონე მოქალაქეთა ან მათ წარმომადგენელთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი.

მუხლი 7. საჭიროების შემთხვევაში მოქალაქეთა საერთო კრებებზე, ყრილობებზე იწვევენ შესაბამის საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს.

მუხლი 8. მოქალაქეთა საერთო კრებები, ყრილობები თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობით, ამ დებულებით, შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში მოქალაქეთა საერთო კრებები, ყრილობები თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ აგრეთვე შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით.

II. მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების უფლებამოსილება

მუხლი 9. მოქალაქეთა საერთო კრებებზე, ყრილობებზე:

ა) ირჩევენ მიკრორაიონთა საბჭოებს, საზოგადოებრივ სოფლის, ქუჩის, კვარტალისა და სახლის კომიტეტებს, ამხანაგურ სასამართლოებსა და სხვა მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებს;

ბ) ისმენენ მოხსენებებსა და ინფორმაციებს სახალხო დეპუტატთა საბჭოების, მუდმივი კომისიების, აღმასრულებელი კომიტეტების, მათი განყო-

ფილებებისა და სამმართველოების, აგრეთვე მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების, მილიციის უბნის ინსპექტორების, კულტურის სასახლეების, სახლების, კლუბებისა და სპორტული ნაგებობების ხელმძღვანელთა მუშაობის შესახებ;

გ) განიხილავენ კანონების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების პროექტებს დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, განმარტავენ კანონმდებლობას და სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების სხვა აქტებს;

დ) განიხილავენ დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის, საბინაო ფონდის დაცვა-შენახვისა და სათანადოდ გამოყენების, მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, კულტურული და სხვა მომსახურების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების, საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა თავისუფალი დროის ორგანიზაციის, ბუნების დაცვის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარებაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დახმარების გაწევის, მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარების, ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციისათვის მუშაობაში მოსახლეობის ჩაბმის საკითხებს;

ე) განიხილავენ საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, კანონების დაცვის, სახალხო დოვლათისადმი მზრუნველი დამოკიდებულების, ლოთობის, ხულიგნობის, მომხვეჭელობისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლენებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით მოსახლეობის აღზრდის საკითხებს;

ვ) განიხილავენ მოქალაქეთა ყოფაქცევას, რომლებიც არღვევენ საბჭოთა კანონებს, საზოგადოებრივ წესრიგს, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების, მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების გადაწყვეტილებებს;

ზ) განიხილავენ დასახლებული პუნქტების, ქუჩების, მოედნებისა და დასახლებული პუნქტების სხვა შემადგენელი ნაწილებისათვის დადგენილი წესით სახელის დარქმევასა და გადარქმევასთან დაკავშირებულ საკითხებს;

თ) კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება განიხილონ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებიც.

მუხლი 10. მოქალაქეთა საერთო კრებებზე, ყრილობებზე წყვეტენ აგრეთვე სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის საკითხს, ასახელებენ სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს და აღძრავენ საკითხს ამ საბჭოების დეპუტატთა გაწვევის შესახებ, ირჩევენ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს და წყვეტენ საკითხს მათი გაწვევის თაობაზე.

მოქალაქეთა ამგვარი საერთო კრებების, ყრილობების ჩატარების წესსა და უფლებამოსილებას განსაზღვრავს სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ შესაბამისი კანონმდებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 11. მოქალაქეთა საერთო კრებებმა, ყრილობებმა შეიძლება წინადადებებით მიმართონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, თანამდებობის პირთ, რომლებიც ვალდებული არიან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში განიხილონ ეს წინადადებები და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ამის თაობაზე შეატყობინებს მოსახლეობას.

მუხლი 12. მოქალაქეთა საერთო კრებებმა, ყრილობებმა შეიძლება გამოიყენონ საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები — გაფრთხილება ან გაკიცხვა ისეთ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს ამ დებულების მე-9 მუხლის „ვ“ პუნქტში მითითებული დარღვევები, აგრეთვე არ ასრულებენ საერთო კრებების, ყრილობების გადაწყვეტილებებს.

მოქალაქეთა საერთო კრებებმა, ყრილობებმა საჭიროების შემთხვევაში საზოგადოებრივი წესრიგის, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევთა შესახებ მასალები შეიძლება გადასცენ ამხანაგურ სასამართლოს, ანდა იშუამდგომლონ კომპეტენტური ორგანოების წინაშე დამრღვევის ადმინისტრაციულ ან სხვა პასუხისგებაში მიცემის თაობაზე.

III. მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების მომზადებისა და ჩატარების წესი

მუხლი 13. მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების მომზადებასა და ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეთა საერთო კრებას, ყრილობას იწვევს მიკრორაიონის საბჭო, საზოგადოებრივი სოფლის, ქუჩის, კვარტალის, სახლის კომიტეტი, მის მომზადებას უზრუნველყოფს მიკრორაიონის საბჭო, შესაბამისი საზოგადოებრივი კომიტეტი.

მოქალაქეთა საერთო კრების, ყრილობის მოწვევის დრო, ადგილი და განსახილველი საკითხები მოსახლეობას ეცნობება წინასწარ.

მუხლი 14. მოქალაქეთა საერთო კრებას, ყრილობას გახსნის შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე (თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი).

მიკრორაიონის საბჭოს, საზოგადოებრივი სოფლის, ქუჩის, კვარტალის, სახლის კომიტეტის მიერ მოწვეულ მოქალაქეთა საერთო კრებას, ყრილობას გახსნის მიკრორაიონის საბჭოს, შესაბამისი საზოგადოებრივი კომიტეტის თავმჯდომარე (თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი).

მუხლი 15. მოქალაქეთა საერთო კრების, ყრილობის გასაძღოლად ირჩევენ პრეზიდიუმს თავმჯდომარის, მდივნისა და 1-7 წევრის შემადგენლობით.

დღის წესრიგს ამტკიცებს მოქალაქეთა საერთო კრება, ყრილობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 16. მოქალაქეთა საერთო კრებაზე, ყრილობაზე ადგენენ ოქმს, რომელშიც აღნიშნავენ კრების, ყრილობის ჩატარების თარიღსა და ადგილს, შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ და კრების, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის უფლების მქონე მოქალაქეთა ან წარმომადგენელთა საერთო რიცხვს, დამსწრეთა რაოდენობას, პრეზიდიუმის შემადგენლობას, დღის წესრიგს, გამოსვლების შინაარსს, მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ოქმს ხელს აწერენ მოქალაქეთა საერთო კრების, ყრილობის თავმჯდომარე და მდივანი და გადასცემენ შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 17. მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე მოქალაქეთა ხმის უმრავლესობით.

საერთო კრებების, ყრილობების გადაწყვეტილებები აუცილებელია შესასრულებლად შესაბამისი დასახლებული პუნქტების, მიკროორაიონების, კვარტალების, ქუჩების, საცხოვრებელი სახლების ყველა მცხოვრებისათვის.

მუხლი 18. მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ახორციელებენ შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, ანდა მათი დავალებით მიკროორაიონთა საბჭოები, საზოგადოებრივი სოფლის, ქუჩის, კვარტალისა და სახლის კომიტეტები ან სხვა მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები.

მოქალაქეთა საერთო კრებების ყრილობების გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში მონაწილეობენ თვით მოქალაქენი, აგრეთვე შესაბამისი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები.

საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები რეგულარულად ატყობინებენ მოსახლეობას მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ.

მუხლი 19. მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, გააუქმებს შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და შემდგომ ამის შესახებ აცნობებს მოქალაქეთა საერთო კრებას, ყრილობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი**

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რეპაბლ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

204 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის მუშაობის რეგლამენტის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის მუშაობის რეგლამენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 13 აგვისტო.
№ 874—XI.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

205 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ; 10) შემდეგი შინაარსის 232[1] მუხლი:

„მუხლი 232[1]. ისეთი ნაწარმოებების დამზადება ან გავრცელება, რომლებიც პროპაგანდას უწევენ ძალადობისა და სისასტიკის კულტს

დამზადება, გავრცელება, ჩვენება ან შენახვა გავრცელების და ჩვენების მიზნით კინო-და ვიდეოფილმებისა ან სხვაგვარი ნაწარმოებებისა, რომლებიც პროპაგანდას უწევენ ძალადობისა და სისასტიკის კულტს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით სამას მანეთამდე, ნაწარმოებებისა და მათი დასამზადებელი და საჩვენებელი საშუალებების კონფისკაციით“.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 232[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის სამოქალაქო კოდექსის 126-ე მუხლის მეოთხე ნაწილს ციფრის „232“ შემდეგ დაემატოს ციფრი „232[1]“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 22 აგვისტო.
№879—XI.

განკოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

206 ამხ. მ. გ. სანაკოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო, საბჭოთა, პროფკავშირულ და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. მურატ გრიგოლის ძე **სანაკოევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 5 აგვისტო.
№ 862—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

207 ამხ. ვ. ნ. გრიგალაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ვარვარა ნიკოლოზის ასული **გრიგალაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 8 აგვისტო.
№ 870—XI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

208 ამხ. რ. ტ. თორდიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი ამხ. რადიშ ტერენტის ძე **თორდია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 11 აგვისტო.
№ 871—XI.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

209 სტუდენტთა რაზმების, უფროსკლასელთა შრომითი გაერთიანებებისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1985 წლის მესამე შრომით სემესტრში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი „ნოდარ ნოდია“.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მ. გელოვანის სახელობის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი „საქართველო-85“.

აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი „აფსნი-85“.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის „კობა ჩოხელის“ სახელობის სტუდენტთა რაზმი.

საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტთა რაზმი „მორკინალი-85“.

ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი „პოლიტექნიკოსი-85“.

თელავის ი. გოგებაშვილი სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი „კახეთი-85“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმი „დილა-85“.

თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის სამშენებლო რაზმი „მშენებელი-85“.

ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის რაზმი „მზიგულა-85“.

თბილისის № 31 საშუალო სკოლის შრომისა და დასვენების ბანაკი.

თბილისის № 125 საშუალო სკოლის შრომისა და დასვენების ბანაკი.

საგარეჯოს რაიონის მანავის № 2 საშუალო სკოლის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადა.

აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის ბაღმარანის საშუალო სკოლის სარემონტო ბრიგადა.

თბილისის № 71 საშუალო სკოლის უფროსკლასელთა შრომითი რაზმი.

ქუთაისის № 7 საშუალო სკოლის უფროსკლასელთა შრომითი რაზმი.

ამირეჯიბი მერაბ მიხეილის ძე — ქუთაისის ნ. მესხიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი.

ბანძელაძე დავით გურამის ძე — საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტი.

გოგსაძე გურამ ჭიჭიკოს ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი ლაბორანტი.

გურგენიძე ზურაბ სტეფანეს ძე — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკის ორდინატორი.

დეკანოიძე ავთანდილ ოთარის ძე — ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი.

ლუცუფიძე ლია მიხეილის ასული — თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი.

მგალობლიშვილი ელგუჯა ბიჭიკოს ძე —საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ალკკ კომიტეტის მდივნის მოადგილე.

მერაბიშვილი ალექსანდრე პეტრეს ძე — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი.

მჭედლიძე იოსებ ნოდარის ძე — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი.

საკანია რუსლან მიროდის ძე — აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

სერგია გია ვახტანგის ძე — თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი.

ტუაევი ზურაბ ყაზბეგის ძე — სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი.

ციცაგი ბესიკ ავთანდილის ძე — ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიკლაური გელა გრიგოლის ძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

ჭელიძე გულნაზი არონის ასული — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი.

ხიბლაშვილი გიორგი გრიშას ძე — საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის სტუდენტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი 1986 წლის 15 აგვისტო.
№ 875— XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

210 აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი“

თავდიშვილს გრიგოლ ილარიონის ძეს — მახარაძის რაიონის ‘ ძიმითის კოლმეურნეობის მწველავს.

კეუერაშვილს ეთერ პეტრეს ასულს — გარდაბნის რაიონის სამგორის საჯიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.

ნარეკლიშვილს ვასილ ივანეს ძეს — საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას.

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორი“

რეხვიაშვილს ვალერიან თევდორეს ძეს — ადიგენის რაიონის მოხის საბჭოთა მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორს.

„საქართველოს სსრ მეცხოველეობის დამსახურებული მუშაკი“

ჯალაღონიას მიხეილ დავითის ძეს — ჩხოროწყუს რაიონის ხაბუმის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“

კვიჟინაძეს ნოდარ ალექსანდრეს ძეს — ქარელის რაიონის ბებნისის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

ბოკერიას ნოდარ ვალერიანის ძეს — თბილისის № 1 სამშენებლო-სარემონტო ტრესტის მმართველს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 7 აგვისტო.
№ 865—XI.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

211 საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომელთათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“** მიენიჭოთ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლებს:

კეკელიას მედეა მიხეილის ასულს — დოცენტს.
კილაძეს დომენტი ქიშვარდის ძეს — დოცენტს.
ყიფიანს თამარ ვასილის ასულს — უფროს მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 7 აგვისტო.
№ 866—XI.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

212 ამხ. ი. ე. ანჯაფარიძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეო ინსტიტუტის პროფესორს ირაკლი ერმილეს ძე ანჯაფარიძეს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 7 აგვისტო.
№ 868—XI.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

213 **ამხ. გ. ა. მაყაშვილისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გრიგოლ ალექსანდრეს ძე მაყაშვილს მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 7 აგვისტო.
№ 869—XI.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

214 **ამხ. ნ. კ. ორლოვსკაიასათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ნატალია კონს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანტინეს ასულ **ორლოვსკაიას** მიენიჭოს, საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 7 აგვისტო.
№ 867—XI.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

215 რესპუბლიკის სამუსიკო სასწავლებელთა პედაგოგებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი“** მიენიჭოთ რესპუბლიკის სამუსიკო სასწავლებელთა პედაგოგებს:

ასლამაზიშვილ-ნატროშვილს ნათელა გიორგის ასულს — თბილისის მე-3 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

ბაბლუმიანს ჰენრიხ ანტონის ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის მე-2 სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

ბეჟუაშვილს ნინო დავითის ასულს — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

ბერძენიშვილს ნუნუ ლავრენტის ასულს — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

ბუალავას ნანა აპოლონის ასულს — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

გვეტაძეს ომარ გიორგის ძეს — თბილისის შ. ასლანიშვილის სახელობის მე-5 სამუსიკო სკოლის დირექტორს.

გოგნიაშვილს ლამარა ნიკოლოზის ასულს — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

გოგოლაძეს ციალა შალვას ასულს — თბილისის მე-3 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

გოგორიშვილს ელისაბედ პეტრეს ასულს — თბილისის მე-8 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

თოფურიძეს ელენე კონსტანტინეს ასულს — თბილის შ. ასლანიშვილის სახელობის მე-5 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

ლეშკაშელს ეთერ ვარლამის ასულს — ზ. ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალური სამუსიკო სკოლის პედაგოგს,

მგელაძეს ლია დიმიტრის ასულს — თბილისის მე-3 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგრელიშვილს ლარისა მიხეილის ასულს — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

მუჯირს ნანული შოთას ასულს — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის სამმართველოს მეთოდური კაბინეტის დირექტორს.

ნიუარაძეს მადონა პარმენის ასულს — თბილისის მე-3 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

პაპიაშვილს ციალა ვახტანგის ასულს — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

სანადირაძეს ინეზა მიხეილის ასულს — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

ღვალაძეს თამაზ ივანეს ძეს — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კადრებისა და სასწავლო დაწესებულებათა სამმართველოს განყოფილების უფროსს.

ჩიხლაძეს ნათელა კონსტანტინეს ასულს — თბილისის მე-9 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

ჩხენკელს გურანდუხტ შალვას ასულს — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

ციციშვილს მერი არჩილის ასულს — თბილისის მე-3 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

ცომაიას ინა ალექსანდრეს ასულს — თბილისის მე-3 სამუსიკო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს.

წულუკიძეს მაია ასლანის ასულს — ზ. ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალური სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

ჭანტურიძეს ევგენია მიხეილის ასულს — რუსთავის მე-2 სამუსიკო სკოლის დირექტორს.

ჭიჭინაძეს ნელი ლეონტის ასულს — თბილისის მე-3 სამუსიკო სკოლის პედაგოგს.

ჯაფარიძეს ჩარიტა სტეფანეს ასულს — თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის პირველი სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 21 აგვისტო.
№ 877—XI.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1986 წლის 25 აგვისტოს მიიღო დადგენილება „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე.

პრეზიდიუმმა დაადგინა:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის 15 მაისის დადგენილება „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, ამ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1986 წლის 3 ივლისის დადგენილება და რესპუბლიკის პარტიული აქტივის 1986 წლის 26 ივლისის კრების რეზოლუცია „უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა შესაბამისად“ მიღებულ იქნეს განუხრელად სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

აფხაზეთის ასსრ. და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო, რესპუბლიკის რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ:

საკითხი უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მოწესრიგებისათვის საბჭოთა ორგანოების ამოცანების შესახებ განიხილონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მორიგ სესიებზე მესამე კვარტალის ბოლომდე;

ყველგან გულდასმით გაერკვნენ იმ ბრძოლის გასაძლიერებლად მუშაობის მდგომარეობაში, რომელიც წარმოებს დატაცებების, სპეკულაციის, მექრთამეობის, გამომძალველობის, მოსახლეობისათვის შეწერების და სხვა სახის უკანონო საქმიანობის, შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპის დარღვევების, წამგლეჯობისა და დამგროვებლობის გამოვლენის წინააღმდეგ;

შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, წარმართონ ეს მუშაობა მიზანსწრაფულად, უკომპრომისოდ;

გააქტიურონ საქმიანობა უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებზე კანონმდებლობის შესრულებისადმი კონტროლისათვის, გააუმჯობესონ სამართალდამცველი ორგანოებისა და შრომითი კოლექტივების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობის კოორდინაცია ამ დარგში;

აამაღლონ დეპუტატთა ჯგუფების, დეპუტატთა საგუშაგოების, მიკრორაიონთა საბჭოების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების, ამხანაგური სასამართლოებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვა ორგანოების აქტიურობა, გააძლიერონ შეტევითობა და შეურიგებლობა უშრომელი შემოსავლის, მუქთახორობის, სპეკულაციისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში;

დარაზმონ სახალხო დეპუტატები თითოეულ საარჩევნო ოლქსა და შრომითს კოლექტივში ჯანსაღი ცხოვრების წესის, მაღალი კულტურისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის საბრძოლველად, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მომხვეჭელობისადმი თითოეული საბჭოთა ადამიანის შეურიგებლობის სულისკვეთებით აღზრდისათვის;

სისტემატურად მოისმინონ საბჭოების სესიებზე, მათი აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელთა ინფორმაციები უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ; აამაღლონ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა საბჭოთა კანონებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის, შრომისა და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობის, უყაირათობისა და მფლანგველობის აღმოფხვრის, სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ხარჯზე გამდიდრებულ პირთა მიმართ შეურიგებლობის ვითარების შექმნისათვის;

პარტიის მითითებათა შესაბამისად ყოველნაირად განავითარონ მშრომელთა აქტიურობა და ინიციატივა, ფართოდ მიიზიდონ ისინი სამართალდარღვევებთან საბრძოლველად, რომლებიც უშრომელი შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ;

მიმდინარე წლის ბოლომდე რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ყველგან ჩაატარონ სოფლის ყრილობები და მოქალაქეთა კრებები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლებიც მიეძღვნება უშრომელი შემოსავლის მიღებისა და ანგარებით დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანებს.

მოწონებულ იქნა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა წარმოდგენილი ნუსხა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 5 აგვისტოს ბრძანებულებით დამტკიცდა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განხორციელებული ჭახათის სასოფლო საბჭოდან სოფელ ზენითის გამოყოფა და მისი მუხაესტატეს სასოფლო საბჭოსათვის მიკუთვნება.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 6 აგვისტოს ბრძანებულებით წულუკიძის რაიონის სოფელი კონტუათი გამოეყო მათხოჯის სასოფლო საბჭოს და მიეკუთვნა ნახახულევის სასოფლო საბჭოს.